<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>
ხელშეკრულება N18

ქ. თელავი 28 ოქტომბერი 2019 წ.

ერთის მხრივ ააიპ ქალაქი თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება „ნადიკვარი“ წარმოდგენილი გიორგი დაღუნდარიძის სახით და მეორეს მხრივ შპს Mhouse შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ჭარბაძის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანად შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ა.(ა).ი.პ. კულტურისა და დასვენების პარკი ნადიკვრისათვის ხელსაწყოების შესყიდვა.

2.2 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 44510000 - ხელსაწყოები

2.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.4 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 34 (ოცდათოთხმეტი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი და დროული მომსახურება, კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

ბ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის მოთხოვნისთანავე;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) თავისი ხარჯით გამოასწოროს მიწოდებული საქონლის ხარისხის ხარვეზი.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

ბ) მიმართოს წერილობითი შემსყიდველს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

4.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი და შენიშვნები წარუდგინოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

ბ) არ მიიღოს უხარისხო მიწოდებული საქონელი და მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი გამოსწორება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი მომსახურების მიწოდების ნებისმიერ პერიოდში.

5.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული მომსახურების კონტროლი. მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული მომსახურების ან საქონლის ღირებულება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით ეტაპობრივად. მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 13.2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების ვადები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 29 ნოემბრამდე.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადაა 2019 წლის 29 ნოემბერი.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა.(ა).ი.პ. კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება „ნადიკვარი“

მის: ქ. თელავი, დავით რექტორის ქ. №8

ს/კ 231288754

ტელ: 599 32 22 27

დირექტორი:

გიორგი დაღუნდარიძე ----------

მიმწოდებელი:

შპს Mhouse

მის: ქ. თელავი

ს/ნ: 231260541

ს.ს. „ვითიბი ბანკი“

ბანკის კოდი:UGEBGE22

ა/ნ : GE24VT2900000005743602

ტელ: +995 350 27 60 66

ბუღალტერი :

მაკა მიქელაძე ----------